ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №47
2018 წლის 30 ნოემბერი

დაბა ქედა

„გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 თებერვლის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მეოთხე პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ქედის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 თებერვლის №6 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 23/02/2018, 010250050.35.134.016250) შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილება:

1. დებულების მე-2 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „$დ^1$“ ქვეპუნქტი:

„$დ^1$) „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ გაეროს უშიშროების საბჭოს №1325 რეზოლუციის ლოკალიზაციის ხელშეწყობა.“

2. დებულების მე-3 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. საბჭოს წევრის შერჩევისას გაითვალისწინება საკრებულოში არსებული ფრაქციების წარმომადგენლობითობა, გენდერულ თემებზე საბჭოს წევრობის კანდიდატის ინფორმირებულობა ან/და მუშაობის გამოცდილება“.

3. დებულების მე-3 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. საბჭოს შემადგენლობაში შედიან ქედის მუნიციპალიტეტის ორგანოების წარმომადგენლები საკრებულოს თავმჯდომარის მოწვევით, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების (არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის ან არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივი წარდგინების არსებობის შემთხვევაში) წარმომადგენლები საკრებულოს თავმჯდომარისადმი მათი მიმართვის საფუძველზე“.

4. დებულების მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6 და მე-7 პუნქტები:

„6. გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრთა ერთი სქესის წარმომადგენელთა რაოდენობა არ უნდა იყოს 40%-ზე ნაკლები.

7. საბჭოს გადაწყვეტილებით საბჭოსთან შესაძლებელია შეიქმნას სამუშაო ჯგუფი (ჯგუფები), რომლის (რომელთა) შემადგენლობას და საქმიანობის ფორმებს განსაზღვრავს საკრებულოს თავმჯდომარე“.

5. დებულების მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-10 პუნქტი:

„1. საბჭოს მუშაობის წესი განისაზღვრება საბჭოს რეგლამენტით, რომელსაც საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს საბჭო“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **შუქრი თურმანიძე**